იჯარის ხელშეკრულება №რფმ/

ქ. თბილისი **2019 წელი**

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (ს/კ 202460103), შემდგომში – “მეიჯარე“, წარმოდგენილი მისი _____ სახით და _____ (პ/ნ ს/კ _____), შემდგომში – “მოიჯარე“, წარმოდგენილი მისი _____ სახით, „მეიჯარის“ მიერ 2018 წლის _____ გამოცხადებული №____/_____ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

1.1 ”მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო ”მოიჯარე” იჯარის ფორმით დროებით სასყიდლიან სარგებლობაში იღებს შპს ”ჯიარ ქონების მართვა”-ს საკუთრებაში რიცხულ ქონებას: ქ. ბათუმი, დასახლება მახინჯაური, 05.34.23.285 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან 2491 კვ.მ. მიწა და მასზე განთავსებული შენობა (თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად), საერთო სარგებლობის ფართის გათვალისწინებით.

1.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 10 (ათი) წელიწადი.

1.3 ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მიეთითება საიჯარო ქონების აღწერილობა, ფაქტიური მდგომარეობის მითითებით, დაერთვება მინიმალურად ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალი (საუქციონო პირობების დანართი N1) და კეთდება დათქმა საშეღავათო პერიოდის თაობაზე.

1.4 „მოიჯარე“ იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯით განახორციელოს იჯარით აღებული შენობის რემონტი, 1.3 პუნქტში მითითებული აქტით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების ჩათვლით.

1.5 „მოიჯარეს“ ეძლევა საშეღავათო პერიოდი ხელშკრულების 1.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადით, რომლის განმავლობაშიც „მოიჯარე“ განთავისუფლდება საიჯარო ქირის გადასახადისაგან და არ მოხდება საიჯარო ქირის დარიცხვა.

1.6 1.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დასრულებისას მხარეებს შორის ფორმდება აქტი, განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

1.7 1.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევში, „მეიჯარე“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი :

2.1 საიჯარო ქირა ყოველთვიურად შეადგენს _____ (_____) აშშ დოლარს, დღგ-ს ჩათვლით (ელექტრონულ აუქციონზე ”მოიჯარის” მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა). თანხა გადახდილ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში (ლარი), გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

2.2 საიჯარო ქირა ”მოიჯარემ” ”მეიჯარეს” უნდა გადაუხადოს ყოველი საანგარიშსწორებო თვის 10 რიცხვამდე.

2.3 ”ბე”-ს სახით შემოტანილი თანხა გათვალისწინებული იქნება პირველი და საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

2.4 საიჯარო ქირა ირიცხება ”მეიჯარე”-ს შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე: სს “საქართველოს ბანკი” ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101502, ა\ა: GE54BG0000000391156800.

2.5 საიჯარო ქირის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

2.6 პირგასამტეხლო ”მოიჯარეს” ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

2.7 საიჯარო ქირის ათვლა იწყება მხარეთა შორის 1.6 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გაფორმების დღიდან 2.1 და 2.2 პუნქტებით გათვალისწინებული ოდენობისა და პირობების შესაბამისად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1 ”მეიჯარეს” უფლება აქვს:

3.1.1 წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს ”მოიჯარის” მიერ ტექნიკური უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა;

DRAFT

3.1.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადახედოს საიჯარო ქირას მისი გაზრდის მიზნით და შესთავაზოს შესაბამისი ცვლილება მოიჯარეს. გაზრდილი საიჯარო ქირა დაითვლება დათვლის მომენტში არსებული საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ ქონებაზე და გათვალისწინებული იქნება მხოლოდ საიჯარო საგნის ის მდგომარეობა რა მდგომარეობაშიც ის იმყოფებოდა გადაცემის მომენტისათვის. საიჯარო ქირას დაითვლის დამოუკიდებელი აუდიტორი (ექსპერტი).
3.1.3 მოითხოვოს "მოიჯარის" მიერ იჯარით გაცემული ქონების დაზიანების, გაუარესების ან საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ ქონების დაბრუნების დაყოვნების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რაც დადასტურებული იქნება "მეიჯარის" მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ;
3.1.4 მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ "მოიჯარე" არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
3.1.5 "მეიჯარეს" უფლება აქვს ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ "მოიჯარე" ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სამჯერ არ გადაიხდის ან ვადის დარღვევით გადაიხდის ყოველთვიურად დადგენილ საიჯარო ქირას.

3.2 "მეიჯარე" ვალდებულია:
3.2.1 ვადიან სარგებლობაში გადასცეს "მოიჯარეს" საიჯარო ქონება;
3.2.2 შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.3 "მოიჯარეს" უფლება აქვს:
3.3.1 განახორციელოს ობიექტზე სამეწარმეო საქმიანობა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
3.3.2 ქვეიჯარით გადასცეს მესამე პირს იჯარით აღებული ობიექტი ან ობიექტის ნაწილი მხოლოდ "მეიჯარესთან" წინასწარი წერილობითი შეთანხმებით;
3.3.3 "მეიჯარესთან" წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, ჩაუტაროს საიჯარო ქონებას კაპიტალური სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელთა ღირებულება "მეიჯარის" მიერ არ ანაზღაურდება;
3.3.4 „მეიჯარესთან" წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, მის მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე განათავსოს დროებითი ნაგებობა (მსუბუქი კონსრუქცია);
3.3.5 „მეიჯარესთან" წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, მის მიერ იჯარით აღებულ შენობის ფასადის 1/3 გამოიყენოს სარეკლამო საინფორმაციო საშუალებებისთვის (შეთანხმებული დიზაინის შესაბამისად).
3.3.6 მოსთხოვოს "მეიჯარეს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3.4 "მოიჯარე" ვალდებულია:
3.4.1 გადაუხადოს "მეიჯარეს" საიჯარო ქირა იმ ოდენობითა და პირობებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების მეორე პუნქტით;
3.4.2 უზრუნველყოს საიჯარო ფართის მოვლა-პატრონობა, უსაფრთხოების, სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვა, დასუფთავება და ნარჩენები გატანა;
3.4.3 იჯარით აღებულ შენობაში განახორციელოს ისეთი სახის საქმიანობა და განათავსოს ისეთი მოწყობილობები, რაც საშიშროებას არ შეუქმნის შენობის ექსპლუატაციასა და მდგრადობას;
3.4.4 აუნაზღაუროს „მეიჯარეს" 3.4.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი;
3.4.5 განახორციელოს კონტროლი ქვემოიჯარის საქმიანობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა საიჯარო ქონება მის მიერ გამოყენებული იქნას მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;
3.4.6 აუნაზღაუროს "მეიჯარეს" ქონების გაუარესებით გამოწვეული ზარალი, გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციისას გამოწვეული ზიანისა;
3.4.7 "მეიჯარის" მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს ინფორმაცია იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე;
3.4.8 "მეიჯარის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, გაფრთხილებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში უპირობოდ გაათავისუფლოს აღნიშნული ფართი, ყოველგვარი კომპენსაციების გარეშე;
3.4.9 "მეიჯარესთან" შეთანხმებით, საჭიროებისამებრ საიჯარო ქონების ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, ჩაუტაროს საიჯარო ქონებას კაპიტალური ან/და მიმდინარე სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელთა ღირებულება "მეიჯარის" მიერ არ ანაზღაურდება;

DRAFT

3.4.10 „მეიჯარის“ მოთხოვნის შემთხვევაში იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ და შეუფერხებლად მისცეს გადაადგილების საშუალება სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა ტექნიკას;
3.4.11 საიჯარო ქონება გამოიყენოს ისე, რომ დაცული იქნას რკინიგზის მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება. იჯარით აღებულ შენობაში მოაწყოს რკინიგზის მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, მგზავრთა მომსახურეობის ცენტრი (სალარო, ცნობათა ბიურო), დარბაზში უზრუნველყოს მგზავრთა (გამცილებელთა) შეუფერხებელი გადაადგილება და ბაქანზე გასასვლელის მოწყობა;
3.4.12 დაიცვას საქართველოში მოქმედი, ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულაციების, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნები;
3.4.13 საიჯარო ურთიერთობების პერიოდში, იჯარით აღებულ ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობის დაწყებამდე, შესაბამისი პროექტი შეათანხმოს „მეიჯარესთან“;
3.4.14 ”მოიჯარის” მიერ საიჯარო ქონებაზე წარმოებული საქმიანობიდან გამომდინარე დამდგარი გარემოსდაცვითი ან სხვა ზიანისათვის, ”მეიჯარეზე” მატერიალური ან/და სხვაგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, აანაზღაუროს ”მესაკუთრის” სრული პასუხისმგებლობის თანხა;
3.4.15 “მოიჯარე” ვალდებულია, მისი მოთხოვნით, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შესთავაზოს “მეიჯარეს” სხვა გადახდისუნარიანი და მისთვის მისაღები მოიჯარე, რომელიც თანახმა იქნება იჯარის ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით. ხოლო, თუ “მოიჯარე” ვერ შესთავაზებს ასეთ მოიჯარეს, მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს საიჯარო ურთიერთობათა დასრულებამდე;
3.4.16 საკუთარი ხარჯებითა და დადგენილი წესით, ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან უზრუნველყოს კომუნალური გადასახადებისათვის საჭირო მრიცხველების დაყენება და შესაბამისად გადაიხადოს აღნიშნული კომუნალური გადასახდები. ასევე, განახორციელოს მისთვის საჭირო კომუნიკაციების მიერთება/მშენებლობა საკუთარი ხარჯითა და ძალებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაცია. მიერთება/მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების მოპოვება „მოაიჯრე“-მ უნდა მოახდინოს საკუთარი ხარჯითა და ძალებით.
3.4.17 უზრუნველყოს მისი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ნარჩენების მართვის ორგანიზების მკაცრი კონტროლი და გასწიოს აღნიშნულის ხარჯი.
3.4.18 „მეიჯარის“ საჭიროებიდან გამომდინარე, საიჯარო შენობის ფასადზე განათავსებინოს სარეკლამო საინფორმაციო საშუალებები.

4. გარანტია

4.1 „მოიჯარე“ ვალდებულია მის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია: (საბანკო გარანტიის მონაცემები) იგივე შინაარსით განაახლოს ყოველწლიურად, წინა საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე სულ მცირე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე.
4.2 საბანკო გარანტია უნდა უზრუნველყოფდეს საიჯარო ქირის დავალიანების დაფარვის უპირობო ანაზღაურებას.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი, რომლის ანაზღაურების წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2 პასუხისმგებლობა საიჯარო ქონების მართლოზომიერ ექსპლუატაციაზე ეკისრება ”მოიჯარეს”.
5.3 საიჯარო ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანისთვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მოიჯარეს“.

6. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

6.1 „მეიჯარე“ უფლებამოსილია ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ „მოიჯარე“:
6.1.1 დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში „მოიჯარე“ იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად;
6.1.2 მნიშვნელოვნად აზიანებს და/ან ქმნის საიჯარო ქონების დაზიანების რეალურ საშიშროებას;
6.1.3 არ იყენებს საიჯარო ქონებას ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;
6.1.4 წინაბდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში „მოიჯარე“ სამჯერ არ გადაიხდის ან ვადის დარღვევით გადაიხდის ყოველთვიურად დადგენილ საიჯარო ქირას.

6.1.5 თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში „მოიჯარე“ არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, „მეიჯარეს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში „მოიჯარე“ კარგავს ყველა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას;
6.1.6 „მეიჯარე“ უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, თუ „მოიჯარე“ უარს განაცხადებს 3.1.2
პუნქტის შესაბამისად, გაზრდილი საიჯარო ქირის გადახდაზე.
6.1.7 ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს საწარმოს ან/და გაიჯარებული ქონების მესაკუთრის შეცვლა მოიჯარისათვის ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების ანაზღაურების გარეშე.
6.2 „მეიჯარე“-ს უფლება აქვს ცალმხრივად მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რის შესახებაც სულ მცირე 6 (ექვსი) თვით ადრე უნდა აცნობოს „მოაიჯრე“-ს, მიუხედავად 6.1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა.
6.3 ხელშეკრულების ვადის გასვლისას სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ხელშეკრულების შეწყვეტის რეგისტრაციისათვის საკმარისია „მეიჯარის“ მიერ მიღებული ცალმხრივი აქტი.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები პასუხს არ აგებენ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი).
7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ საიჯარო ურთიერთობები გრძელდება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს შეუძლებელია ქონების განადგურების გამო.
7.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეულ მხარეს აქვს უფლება მოშალოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის სათანადო შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.
7.4 ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დებულებები.

8. დავის გადაწყვეტა

8.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.
8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მომართავენ სასამართლოს საერთო წესების დაცვით.

9. საიჯარო ქონების დაბრუნების წესი

9.1 იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ან ხელშეკრულების მოშლის ვადის დადგომისთანავე „მოიჯარე“ ვალდებულია დაუბრუნოს „მეიჯარეს“ იჯარით აღებული ქონება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
9.2 საიჯარო ქონება დაბრუნებული უნდა იქნას გარემონტებულ და ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში, ჩვეულებრივი ცვეთის გათვალისწინებით.
9.3 იჯარის ვადის გასვლიდან ხუთი დღის განმავლობაში ქონების დაბრუნების თაობაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ერთი ეგზემპლარი დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას.
9.4 „მოიჯარის“ მიერ საიჯარო ქონებაზე განხორციელებული გაუმჯობესების და კეთილმოწყობის სამუშაოები რჩება „მეიჯარეს“ უსასყიდლოდ.
9.5 ამ ხელშეკრულების 9.2 პუქნტით გათვალისწინებულ ვადაში ”მოიჯარის” მიერ ქონების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ”მოიჯარე” ვალდებულია იხადოს საიჯარო ქირა ქონების დაბრუნებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაერიცხება როგორც საიჯრო ქირა, ასევე ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის, საურავი ერთი თვის საიჯარო ქირის 0,5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. დასკვნითი დებულებები

10.1 თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
10.2 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაახმაურონ კონფიდენციალური ცნობები, რომელიც მათთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
10.3 ნებისმიერი შეტყობინება, დაკავშირებული ამ ხელშეკრულების ცვლილებასთან, დგება წერილობითი ფორმით.
10.4 ის საკითხები, რომელიც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.5 მხარეები ვალდებული არიან მისამართებისა და რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე ერთმანეთს აცნობონ 15 დღის ვადაში.

DRAFT

10.6 10.5 პუნქტის შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეს, რომელმაც არ შეასრულა ეს ვალდებულება.
10.7 ხელშეკრულება ძალაში შედის, ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
10.8 მოიჯარე ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები ანაზღაურდება „მოიჯარის“ მიერ.
10.9 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება მოიჯარეს, ორი მეიჯარეს და ერთი ინახება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
10.10 თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება მიჩნეული იქნება ბათილად, სხვა დანარჩენი პირობები იმოქმედებს უცვლელად.

11. მხარეთა რეკვიზიტები

“მეიჯარე”	“მოიჯარე”
შპს „ჯიარ ქონების მართვა“	_____
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15	_____
ტელ.: 595 03 00 10	_____

_____ _____

DRAFT